საქართველოს მთავრობის განკარგულება
N1720, 30 ივლისი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ეკის, ზანის, ზემო ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის საქიმო ამბულატორიების რეაბილიტაცია	151 384.0	151 384.0
	სულ ჯამი	151 384.0	151 384.0

საქართველოს მთავრობის განკარგულება
N207, 8 თებერვალი

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შენიშვნის შესაბამისად, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (პროგრამული კოდი: 250704 - ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მუნიციპალიტეტები) და სსიპ - საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ (პროგრამული კოდი: 320211 - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტის უზრუნველყოფა) ამ განკარგულების შესაბამისად უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

N	მუნიციპალიტეტი	გამოსაყოფი თანხა (ლარი)
	სენაკი	470,000

2018 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 42600 ლარი, მათ შორის:

ა) 2018 წლის 2 აპრილს სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საექიმო ამბულატორიის შენობის აზბესტობეტონის ღაროვანი ფურცლისაგან (შიფერი) მოწყობილი სახურავის რეაბილიტაციისათვის და დაზიანებული ოთახების რემონტისათვის გამოიყო 26000 ლარი. (სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 აგვისტოს N1269 ბრძანება).

ბ) 2018 წლის 10 აგვისტოს ძლიერი წვიმების (წყალდიდობა) შედეგად გაიწმინდა ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. შრომისკარში საშაურღაიოს შიდა საუბნო გზის მონაკვეთი, რომლიც აღდგენა დიდი მოცულობის გამო პრაქტიკულას შაუძლებელი იყო. იმისათვის, რომ სტიქიის შედეგად სოფელს მოწყვეტილ ოთხ ოჯახს შეძლებოდა საკუთარი ქონების გამოტანა, საჭირო იყო 800 მეტრზე დროებითი, ალტერნატიული გზის გაჭრა ბულდოზერის მეშვეობით, რისათვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 8000 ლარი. (სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 სექტემბრის N1496 ბრძანება).

გ) 2018 წლის 10 აგვისტოს ძლიერი წვიმების (წყალდიდობა) შედეგად დაზიანდა ადგილობრივი მნიშვნელობის ხრეშოვანი გზები, რომელიც უმეტეს ადგილებში ტრანსპორტისათვის გაუვალი გახდა. საჭირო გახდა გრეიდერის მომსახურეობა, რაზეც გამოიყო 4500 ლარი (სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 აგვისტოს N1326 ბრძანება).

დ) 2018 წლის 14 სექტემბრის სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად მიყენებული ზარალის საფუძველზე საერთო საცხოვრებელი სახლების და კლუბის შენობის სახურავების სარეაბილიტაციოდ, 100 ცალი აზბესტობეტონის შიფერის და 10 კგ. ლურსამნის შესაძენად გამოიყო 2100 ლარი (სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 სექტემბრის N1530 ბრძანება).

ე) 2018 წლის 14 სექტემბერს სენაკის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლეტყებუჩეს უბანში მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მეორე სართული. სახურავის გარეშე დარჩენილი სახლის დროებით საცხოვრებლად მოწყობისათვის გამოიყო 2000 ლარი. (სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 15 ოქტომბრის N1675 ბრძანება).